


№ 5-67



ქვემო-კვიციანის უნივერსალი

№ 15

წელიწადი 1916



გამომცემი	საქმის განყოფილება
საბჭო	საბჭო
საბჭო	საბჭო
საბჭო	საბჭო
საბჭო	საბჭო

ფასი 10 კაპ.

მონათხროვით კოოპერატიული წამ

საქართველო
ბიზნისი

≡ „ლილი“ ≡

შეძევება ამხანაგობა „ლილი“ თავისი ნამდვილი და ჭეკიენური რძით მოიხრება კარ-
გი ბზხარი და ახლა აფართოვებს თავის საქმეებს, რითაც შეძლება მიეცა მსურველთ
მიწოდოს საუკეთესო რძე ბინახედ, ცხლკე დაბეჭდილ ჭურჭელით.

რძის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „კლდე“ Габеевский пер. № 3. და
ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: Барятинская 5.

ფრანგულ-კავკასიური

საფაქრო და სამრეწველო ბიურო

„იპერია“

პარიზი

≡ იძლევა უოველ გუარ ცნობას,

ჰუიდის მადნეულობას და სხ. ≡

ადრესი: Paris Faubourg Montmartre 10

33(05)
3-67

№ 15

აჭყაია
7 მარტი 1913 წ.



ქართული
მიიღება ხელისუფლებისათვის
1 წლ., — 5 მან, 6 თვ. — 2 მ.
75 კ., 3 თვ. — 1 მ. 50 კ., 1
თვ. — 50 კ. სოფლის მასწავლებელთ,
სამკითხველოებს და
უმადლეს სასწავლებლებში მო-
სწავლეთ დაეთმობათ 4 მან,

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ.

მიური და სალიტერატურო შუხნალი

რედაქცია ღიაა 10 — 3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე

ს ა რ ჩ ე ვ ი: წარსული, აწმეო და მოძვეალი ხიზნობისა. — ალ. უიფშიძისა. არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას. — სვ. ქვარიანისა. ქართული მეურნეობა და ბაზარი. — დ. კახელიისა. შიმქრ. სულის აღს. — დ. კასრაძისა. მოწეობილი სოფელი. — კოოპერატორისა. უკანასკნელი ამბები. ბაღკანეთის ოში მეზობელი სახელმწიფონი. — რ. გ—ესი. ედაბ მეფე ქართულ თეატრში. — რაესი. ნარკვი. ჩვენსი ფოსტა.

წარსული, აწმეო და მოძვეალი ხიზნობისა

I.

ბატონ უმობის გადავადნამდე.

მეფე ვახტანგ VI კანონები მოქმედებდნენ საქართველოში 1827 წლამდე, ხოლო ამ წლიდან ნელ-ნელა შეიტანა ახალმა მთავრობამ სამოქალაქო ცხოვრებაში რუსის კანონები. 1841 წლიდან კი სრულიად აჰყვეთა იმპერატორ ნიკოლოზ პირველმა ვახტანგ მეფის კანონების ხმარება. სენატორი ბარონი განი იმ აზრისა იყო, რომ იმპერიის მთელს სივრცეზე ერთნაირი და ერთგვარი კანონი უნდა ბატონობდესო. რაკი ასეთი აზრი შეიწყნარა იმპერატორმა ნიკოლოზ I, ცხადია, რომ ვახტანგის კანონებიც ველარ იბოგინებდნენ ჩვენში.

განზრახ მოვიგონეთ ვახტანგის კანონების ბედი. არსად ამ კანონთა კრებულში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები სახელი ხიზნისა. ნუთუ ხიზნობა არ არსებობდა ძველს, ისტორიულ საქართველოში, რომ კანონ-მდებელმა კრინტიც არ დასძრა ამ დაწესებულებაზე და თუ არსებობდა, ხსენებით მაინც როგორ არ ახსენა? ხიზნობა ისტორიულ საქართველოში ნამდვილად არსებობდა. ამისი უტყუარი საბუთები ბლომად მოიპოვება თ. ჟორდანიას და ე. თაყაიშვილის მიერ შეკრებილ სიგელ-გუჯრებში. 1552 და 1575 წლ. გუჯრებში პირდაპირაა ნაჩვენები, რომ ყარაასლანს ორის წლით მივეციოთ მამული ხიზნობის წესითაო. მაშ რაკი ხიზნობა არსებობდა, რაკი ვახტანგ მეფის კოდექსში განსაზღვრულია წესი და რიგი მამულის იჯარით აღებისა, როგორ აუხვია გვერდი კანონ-მდებელმა ისეთს რთულს დაწესებულებას, როგორცაა დღევანდელი ხიზნობა? ალბად, ხიზნობა ძველად, საქართველოში, უწყინარი დაწესებულება ყოფილა და არ წარმოადგენდა არავითარ საფრთხობელას. მართლაც, ისტორიული ცნობანი ისეთ ნაირად გვიხატავენ ძველს ხიზნობას, რომ უნებლიედ საოცარი იდლია გიდგება თვალწინ. სამოციან წლებში ბევრსა ბჭობდნენ თბილისში იმაზე, თუ რანაირად გაანთავისუფლონ ბატონ-ყმობიდან გლეხკაცი. ბევრმა მამულის პატრონმა ურჩია მთავრობას, გაანთავისუფლეთ ყმანი და მონიჭეთ ისეთი ურთიერთობა, როგორიც არსებობს ხიზნათა და მამულის პატრონის შორისო.

323

ძველი ხიზანი, ხიზნობისა და სხვის მფარველობის მადებარი პირადად თავისუფალი იყო. უმაჟულობა, ან მცირე მამულიანობა, ან კიდევ სხვა რამ გაჭირვება: მტრისაგან აკლება, დიდად დავალიანება, შიშინანობა, აიძულებდა კაცს აყრილიყო ბინიდან და რომელსამე მემამულეს შეჰკედლებოდა, შეჰხიზნებოდა. რა პირობითაც უნდა ყოფილიყო ასეთი შეხიზნა და პატრონობის მოპოვება, ხიზნობის მადებარი კაცი პირად თავისუფლებას არა ჰკარგავდა. როდესაც მოისურვებდა, მაშინ წავიდოდა ხიზანი. ხელის შემშლელი და დამტუქსავი არავინ ჰყავდა. კიდევ რომ ჰნდომებოდა დიდს ხანს გაჩერება ერთს ადგილზე, ხიზანი მოერიდებოდა ამას, რადგან ოცდაათის წლის შემდეგ პირად თავისუფლობას დაჰკარგავდა და მამულის პატრონის ყმად გახდებოდა.

ამის გამო ურთიერთობა ხიზნისა და მამულის პატრონისა მეტის-მეტად მარტივი და უწყინარი იყო. ხიზანი ჰქირაობდა სახნავ-სათესს ადგილს და განსაზღვრულ ვალდებულობას კისრულობდა. კარგად იცოდა თვისი მოვალეობა და თვისი უფლება. ღალატ-კულუხი და ბეგარა ისეთი იყო, რაც დაედგინა ადათსა და ჩვეულებას; ვერც ხიზანი და ვერც მამულის პატრონი ვერ გაჰბედავდნენ დაერღვით ადათით განწესებული გადასახადი. მაშ საჩხუბარი, სადავო და საკინკლაფო რაღა ექნებოდათ ხიზანსა და თავადსა და აზნაურს, რომლის მამულზედაც ხიზანი ბინადრობდა. მაინცა და მაინც, თუ რაიმე უსიამოვნება მოუვიდოდათ ხიზანსა და მამულის პატრონს, ორივე მხარე მიჰმართავდა ხოლმე მედიატორებს და ესენიც მორიგებით ათავებდნენ იშვიათს სახიზნო დავი-დარბას. რუსის მთავრობის მოხელენი გაოცებულნი იყვნენ იმ გარემოებით, რომ ხიზანი მამულის პატრონს მტრულად არ უცქეროდა და სრულიადაც არა ჰფიქრობდა თვისი დღენი საჩივარში დაეღია. თვით ქართველნი თავად აზნაურნი ტრახანობდნენ მთავრობის წინაშე, რომ არავის გაუგონია და არავის ახსოვს, რომ ხიზანს საჩივრით მიემართოს მთავრობისთვის მამულის პატრონზეო.

ხიზნობა ძველის-ძველი ინსტიტუტია და უეჭველია საქართველოშიაც უხსოვარ დროიდან მომდინარეობს, ისე როგორც იტალიაში, დასავლეთ ევროპაში და დასავლეთ რუსეთში; რასაკვირველია იქ სხვა სახელით და ცოტა განსხვავებული შინაარსით. ამის გამო საქართველოშიაც ხიზნობა სხვა და სხვა მამულში, სხვა

და სხვა დროს, ან იმის მიხედვით, თუ რა გარემოებამ აიძულა ხიზანი სხვას შეჰპატრონებოდა და შეჰხიზნებოდა, ფერსა და სახეს იცვლიდა, ხოლო არსება მისი შეუხებელი რჩებოდა. მხარეულ სახლკარს და ვენახს მიიღებდა დასახლების დროს, ბეგარა დიდი იქნებოდა. ცვალებადი იყო ღალატ-კულუხის რაოდენობა, მაგრამ ერთი რამ იყო უცვალებელი: ხიზანს ვერ შეუცვლიდნენ ერთხელ დაკისრებულ მოვალეობას, ესე იგი ვერ წაუმატებდნენ ბეგარას, ვერ გაუდიდებდნენ ღალას და კულუხს. ვსთქვათ, ხიზანს წელიწადში ათი მუშა ედო. თორმეტის მუშის გაყვანას ვერავინ მოსთხოვდა, ეს იქნებოდა ადათისა და ჩვეულების დარღვევა, ეს იქნებოდა ხიზნობის პრინციპის შელახვა და მედიატორენი, რომელთაც აგრედვე როგორც თვით ხიზანმა და მემამულემ, შევნივრად იცოდნენ ყოველივე წვლილი ხიზნობისა, ერთს წამში დასდებდნენ სამართალს და აღადგენდნენ ხიზნობის ადათს და ჩვეულების ძალას.

ხიზანი კისრულობდა ხიზნობას ხან ვადით და განსაზღვრულ დროით, ხან უვადოდ. როგორც თავისუფალ კაცს, ხიზანს უფლება ჰქონდა აბარგულიყო და სხვაგან წასულიყო, მამულის პატრონი ხელს ვერ შეუშლიდა. ხიზანმა ისიც კარგად იცოდა, თუ უარს ხიზნობაზე რა შედეგი მოსდევდა. ნახევარი შეძენილის ქონებისა მამულის პატრონისა იყო და თუ გაყოფის დროს ღალატ-კულუხი ჩამოვარდებოდა, მედიატორენი მზად იყვნენ დავის გადასაწყვეტად. მამულის პატრონსაც ჰქონდა მინიჭებული იმავე ადათით და ჩვეულებით უფლება, როცა მოეპრიანებოდა; დაეთხოვნა ხიზანი, თუ, რასაკვირველია, ხიზანი უვადოდ იყო შეხიზნული. უკეთუ ვადა იყო დადებული: ვადის გასვლამდე ხიზანს ვერ დაითხოვდა. როცა მემამულე ხიზანს ითხოვდა, დათხოვნილ ხიზანს თან ატანდა შეძენილის მოძრავ ქონების ნახევარს, ხოლო თუ ხიზანს უძრავი ქონება ჰქონდა შეძენილი, ამას მამულის პატრონი ხელს ვერ ახლებდა, იგი სრული და ხელშეუხებელი კუთვნილება იყო აყრილის ხიზნისა.

როგორცა სჩანს ამ ისტორიულ ცნობათაგან, ხიზნობა მეტის-მეტე უბრალო, მარტივი, პატრიარქალური და მამა-შვილური ინსტიტუტი ყოფილა. მას სასტიკად სდარაჯობდა ადათი და ჩვეულება. ყოველი წვლილი ხიზნობისა კარგად იცოდა როგორც ხიზანმა, აგრეთვე მემამულემ და მეზობლებმა, რომელნიც დავის დროს მედიატორობდნენ და მოსამართლობდნენ.

ღრმად რომ ჩაუკვირდეთ ამ ურთიერთობას, ნათლად დაინახავეთ, რომ საფუძველად ამ მარტივს და პატრიარქალურ ინსტიტუტს უძევს მატერიალური, ნივთიერი ინტერესი. ორივე მხარე კმაყოფილია მათ შორის ჩამოვარდნილ ურთიერთობით. ვსთქვათ გაჭირვებაში, თუ უმამულოობაში კაცი ხიზნობის გზაზე დააყენა. იშოვნა ასეთმა კაცმა სახიზნო მამული, იპოვნა მამულიანი კაცი და მიეკედლა მას; ხოლო მისი მამული დაიჭირა და ნება-ყოფილობით იკისრა განსაზღვრული მოვალეობანი, ცხადია, კმაყოფილი იქნება თვისის ბედით. მემამულეც მოხარულია, რომ შეიძინა მუშა კაცი, გაიჩინა შემოსავლის ახალი წყარო. ყველაფერი ცხადია და ნათელი მათ შორის. სადავო არა აქვთ რა, როდესაც მოისურვებენ, მაშინ მოსპობენ ასეთს ურთიერთობას. „ახირებულ პრეტენზიებს“ ვერც ხიზანი წამოაყენებს, ვერც მამულის პატრონი. უკეთუ უზომო მადა გაეღვიძება რომელსამე კონტრაგენტს, ადათი, ეს უღმობელი დარაჯი და უსასტიკესი კანონი, უფრო ძრიელი და სასტიკი, ვიდრე დაწერილი კანონი, რომელიც მარტო სწავლულებმა იციან და ხალხში ფესვები არა აქვს გადგმული, უმაღლაგანს ამოსდებს სიხარბესა და დაჩაგვრის მოტრფიალეს.

აი მიხვები, თუ რატომ იყო ასე უწყინარი ძველი ისტორიული ქართული ხიზნობა. ესევე უნდა იყვეს მიხვები, რომ ამ ინსტიტუტს გვერდი აუხვია ვახტანგის საკანონმდებლო კოდექსმა და კრინტიც არ დასძრა, თითქოს იგი არც კი არსებობდაო. მაშინდელი, ისტორიული ხიზანი გულში როგორ გაივლებდა იმ ფიქრსა და აზრსა, რომ ხანგრძლივი ცხოვრებით და მუშაობით სხვისა მამულზე, რაიმე უფლებას შეიძენდა ამ მამულზე და მოზიარე გახდებოდა მემამულისა. ასეთი უნიადაგო პრეტენზია სიზმრადაც არ მოევილინებოდა. არავითარი რეალური პირობა და გარემოება ხელს არ უწყობდა, რომ ასეთი ფიქრი და აზრი ან ჩასახულიყო, ან დაბადებულიყო.

პრინციპი საკუთრებისა ვახტანგის კანონებში ისეთის სისასტიკითაა გატარებული, რომ მისი დარღვევა, ან შელახვა მტკნარ სისულელედ, ან სიგიჟედ ჩაითვლებოდა. რაკი მემამულეც ასევე იყო დარწმუნებული, რომ მის საკუთრებას ხელს ვერავინ ახლებს, იყო იგიც არბეინად და ხიზნობას არც ერიდებოდა, არც უფროთხოდა. სიკეთისა, დოვლათის შემატების მეტს ხიზნობა არას უხდენდა და გიჟი ხომ არ იყო, რომ კარზე მომდგარ ბედნიერებისათ-

ვის წიხლი ეკრა და თვისი კეთილდღეობა საკუთარისავე ხელით დაერღვია.

როცა ეროვნულ კანონსა და ეროვნულ ცხოვრების შორის პარმონია დაირღვა, ეროვნულ ცხოვრების კანონების ასპარეზი ჯერ შემოთარგლეს და შეავიწროეს და შემდეგ სრულიად აშკვეთეს, როცა რჯულთ-უმტკიცესი ადათი და ჩვეულება შესცვალეს უცხო ტანზე ამოსულ კანონებით და განკარგულებით; რომელიც ისე უდგებოდა ძველ ქართულ პატრიარქალურ ცხოვრებას, როგორც უშნო და ბაჯაჯღანა რახტი, თვალწარმტაც მერანს და ბედაურსა, მაშინ სათავეში აიძვრა წყალი და დღემდის ამ მღვრია წყლით ვიბანთ ხელ-პირსა. თავის-თავად ჩაეწვეთა ხიზანს ყურში, რომ მისი დაძვრა დაჩემებულ ადგილიდან, ესე იგი მამა-პაპეულიდან აყრა და განდევნა არც ისე ადვილია, როგორც ძველი ადათი და ჩვეულება ამბობდაო, რომ ამ ადათმა და ჩვეულებამ ჭირი მოიქამა და დღეს სხვა დრო დადგა; სხვა სიო უბერამსო. ყურში ჩაწვეთებული აზრი ნელ-ნელა იზრდებოდა და ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ბურუსიანმა აზრმა გარკვეული სახე და ფორმა მიიღო. მამული ჩემის ოფლითაა მორწყული, გაბოხიერებული, გამიშვენებული და აქედან როგორ ამბარგავენო. აქა ვარ და აქვე დავრჩებიო. ასეთმა ჯერ ბუნდოვანმა, შემდეგ ნათელმა და მკაფიოდ წამოაყენებულმა პრეტენზიამ გული გაუხეთქა მამულის პატრონს და ნესტარი დაასო. როგორ თუ ჩემს საკუთრებას ეხება ხიზანიო, იფიქრა მემამულემ, აიმრიხა ძალზე და გაიმართა ხელ ჩართული ომი ხიზანსა და მემამულის შორის. ვინ გაიმარჯვებს საბოლოოდ, პრინციპი საკუთრებისა, თუ ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ წარმოშობილი ძველის უწყინარის ხიზნის ახალი პრეტენზია, ამის გამოცნობა არც ისე ადვილია, როგორც ბევრსა ჰგონია. ჩვენ ქვემოთ დავინახავეთ, რომ ზოგიერთებმა ვითომც უებარი წამალი გამოიგონეს ამღვრეულის წყლის დასაწმენდად, მაგრამ დუქან-ბაზარში ნაყიდი იაფფასიანი შაბი რიგიანად ვერ დასწმენდს ამღვრეულ წყალს. კიდევ რომ გადავლახოთ პრინციპი საკუთრებისა, კიდევ რომ დავიჩაგროთ ერთ-ერთი კონტრაგენტი ძველის უწყინარის პირობა-ხელშეკრულობისა (ხიზნობისა), მიუხედავად იმისა, რომ აზნაურ კონტრაგენტსაც დღეს აღარაფერი აქვს და თითქმის ხელგამოწვდილი დადის კარი-კარს და შველა-დანმარებას თხოულობს მთავრობისაგან, ან რადიკალურ შეცვლას ეკონომიურ ვითარებისას, მაინც ასეთი გადახრა სას-

წორისა ხიზნობას ვერას უშველის და მისი გაქრობა— მოსპობა აუცილებელია.

ალ. ყიფშიძე.

(შემდეგი იქნება).

არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას

(მოგონება)

მაისის საოცნებო საღამო იყო. ჩამავალი მზის ნახი სხივები იქ, შორს, წითლად ღებავდნენ მდინარე სენის ზვირთებს, აქ კი, მწვანე მდელოზე, ეალერსებოდნენ ლუქსამბურგის ბალის ფერადა ყვავილებს. თბილი, საამო პაერი გაჟღერებულია სიცოცხლის ფერმენტით და ათრობს ადამიანს. სულის ყოველი ხიმსალი სწოვს ზეციურ ამელს და სიტკბოებას. მთელი პარიზი, ეს გული საფრანგეთისა, გამოფენილია გარედ. ფერადათ დართულნი მშვენიერი ქალ-ვაჟნი ამკობენ ფართო ქვაფენილებს. ისმის გაუთავებელი სიცილი, კისკისი და მხიარულება. სტკბეზიან სიცოცხლით თავისუფალი ერის ნებიერი შვილნი... „ექსპრესბარი“, კაფე, რესტორანი საგსვა ხალხით. ყველაზე მეტი სიცხოველე და მხიარულება ეტყობა სანშიშელის ბუღვარს, ამ ლათინთა უბნის უმთავრეს ძარღვსა. სიცოცხლით საგსე სტუდენტები თავის ცქრიალა, კოხტა მეტრესებით (მეგობარ ქალებით) იკლებენ იქაურობას. მათ ოხუნჯობას და გიჟურ ცელქობას არა აქვს საზღვარი. ხით მოფენილ ფართო ქუჩაზე უხმოდ დასრიალებენ მდიდრული ეტლები. ისინი მიაქანებენ მდიდარ ბურჟუებს და მათ უდარდელ კოლშვილს ბულონის ტყისკენ. — ჩამავალი მზე მიეფარა ობსერვატორიას და ამ შენობის უზარ-მაზარი ტანი ზღაპრული მდევრით აღიმართა დასავლეთით. ხოლო მზის მოწითალო სხივები უკანასკნელად ემშვიდობებთან პანთეონის მწვერვალს.

მე გამოველ ჩემს საყვარელ ლუქსამბურგის ბაღიდან, სადაც ხშირად ვისვენებდი სულით, ხალხთა ჟრიაშულს განშორებული და სადაც ოცნების ალქატა ფრთებით დავტრფოდი, ვით ფარვანა, ჩემს უბედურ სამშობლოს, მის ფირუზა ცას, მაღალ მთებს, ქორფა მდელოს და მის, ხუნდებში გაკრულ ბეჩავ შვილებს...

მოვალ ქუჩაზე წყნარისნაბიჯით, ვიქრებ-გართული. არა, არ მიტაცებს ეს უცხო-ხალხის ბავშვური სიგიჟე და მხიარულება! კენესის ჩემი სული ამ მხიარულთა ტალღებში, ის გრძნობს, სადაც ვიქრებლობას... ამ დროს მოსეირნეთა შორის ვამჩნევ ვილაც ახალგაზრდას, სადათ ჩაცმულს. მოდის ჩემსავით ობლად, ლიტონად. ვინ არის იგი? მის ჩაფიქრებულ სახეს ამკობს განიერი შუბლი და ახლად აშლილი შავი წვერ-უღვაში. მის თვალებში იხატება ღრმა სევდა და კაეშანი. ჩვენ უნებლიეთ შევჩერდით და ჩავხედეთ ერთმანეთს. რაღაც ტკბილმა ნათესაურმა გრძნობამ აატოკა ჩემი გული. მეცნობა სახე, საღლაც მინახავს, დიდი ხნის წინ... ინსტიქტიურად გავუწოდეთ ხელი, ამავე დროს ორთავეს გულიდან აღმოგვზდა სიტყვა „ქართველი!“ ჩვენ ძმურად გადავხვიეთ ერთმანეთს. ეს იყო არჩილ ჯორჯაძე.

ეს იყო 14 წლის წინ... ახალი ჩამოსული ვიყავე მონპელიედან (სამხრეთ-საფრანგეთიდან). უზარმაზარ პარიზს არ ვიცნობდი ჯერა. ვბინადრობდი იქვე ლათინთა უბანში. აქვე სასტუმროში ცხოვრობდნენ ერთად ორი ახალგაზრდა ქართველი, არჩილ ჯორჯაძე და ან. დეკანოზიშვილი. პარიზშივე ცხოვრობდნენ იმ დროს ექიმი გ. გოკიელავი თავის მეუღლით და საექიმოდ ჩამოსული ივ. კოჩაშვილი. პარიზშივე დიდი ხნით ცხოვრობდა ნ. ნიკოლაძის მეუღლე თავისი ორი მშვენიერი ქალით. ამ ორ ოჯახში ვიყრიდით თავს სამიოდე ქართველი და გვქონდა კამათი სხვა და სხვა საგანზე.

არჩილი ახალი ჩამოსული იყო ლონდონიდან, სადაც მუშაობდა ჩერტკოვის გაზეთში და მისივე ზეგავლენით იყო გატაცებული ტოლსტოვეცი, მისი აზრების, მისი მისტიციზმის მოტრფილვე. მან ამ დროს ძლიერ სუსტად იცოდა ქართული ენა. ვერ ახერხებდა ქართულად ვერც წერას და ვერც სერიოზულ კამათს. არაფრად ებიტნავებოდა ეროვნული საკითხიც. ის ამ დროს გაეტაცა მხოლოდ ერთგვარ ლტოლვას, მთელი კაცობრიობის გარდაქმნას ლევ ტოლსტოის რეცეპტით, რაღაც პასიურ ფატალიზმს და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის უარყოფას. ამ ნიადაგზე ჩვენ გვქონდა ცხარე კამათი. არჩილი იყო მუდამ დინჯი, აუჩქარებელი, გულდასმით ისმენდა კამათის აზრს და მშვიდი, ზრდილობიანი კილოთი უპასუხებდა. ასეთი მისი ზრდილობა და სიმშვიდე ხიბლავდა ყოველ ადამიანს და იდეურ მოპირდაპირეს აგრძნობინებდა მისდამი დიდ სიმპატიას. არ თანაუგრძნობდი, არ ეთანხმებოდი მის აზრებს, მაგრამ მოგწონდა, გიყვარდა, პატივს სცემდი ამ ღი-

რსეულს, განათლებულ ახალგაზრდას, ვიტაცებდა მისი სიწრფელი და ფაქიზი სული. თავის სიდინჯით შრომით, ფართო ცოდნით და ლოღიკურ მსჯელობით არჩილი ჰგავდა ნამდვილ ევროპელს. მას იტაცებდა იდეა, ის იყო წრფელი ქურუმი აზროვნებისა. კითხულობდა ბლომად, მეცადინეობდა პარიზის საერო ბიბლიოთეკაში, ისმენდა სორბონში ფილოსოფიის და ფსიხოლოგიის პროფესორთა ლექციებს. მე გულით შემიყვარდა ეს შშრომელი, ნიჭიერი და ფაქიზ-სულოვანი ახალგაზრდა. ვნახულობდით ხშირად ერთმანეთს და უსაყვედურებდი ხშირად, რომ ასე მცირე ყურადღებას აქცევდა თავის სამშობლოს და ქართულ ენას. არჩილი მოღობა თან და თან და დაიწყო ქართული წიგნების კითხვა. ხელი მოჰკიდა ეროვნულ საკითხს და ამა ექვსი თვის შემდეგ ჩვენი გაცნობისა გამოვიდა გაზ. „ცნობის ფურცელში“ პირველი მისი პუბლიცისტური წერილი. ამ დროს ქუთაისში ვაყავ; უცხოეთიდან ახალი ჩამოსული. ჩემს თვალებს არ ვუჯერებდი, როცა წერილის ბოლოში წავიკითხე ავტორის გვარი **არჩილ ჯორჯაძე**. ჩემს სიხარულს არ ჰქონდა ბოლო.

ამ დღიდან იწყება არჩილის მოღვაწეობა ქართულ პრესაში. ამ დღიდან იწყება ის წრფელი საუცხოვო პუბლიცისტური ესკიზები, რითაც ისე ისახელა თავი ამ იშვიათმა ადამიანმა. ეს სულით ფაქიზი, განათლებული ევროპელი, შეიქმნა გულით საუკეთესო ქართველი. მან მთელი თავის მგზნებარე არსებით შეიყვარა ამირანივით ტანჯული საქართველო. ის ჩაუდგა სათავეში ქართველ ახალგაზრდობის ახალ მოძრაობას ჯერ პარიზში, შემდეგ კი თბილისში. ეს მოძრაობა თუმცა სავსებით ვერა სახავს ქართველი ერის ლტოლვას, მაგრამ იმ დროს ძლიერ საქირო იყო იგი, როგორც მოწინააღმდეგე ძალა იმ უკულმართ მოძრაობისა, რომელიც დამკვიდრდა ჩვენში დასელთა სახელით და რომელიც უარპყოფდა ყოველივე ქართულს.

— და ამა, მამაც მებრძოლს, სწორუბოვარ მამულიშვილს წაადგა თავზე სიკვდილის საიდუმლო ლანდი! დასჩხავლა შავმა ყორანმა გამბედავ მხედარს და გააგდებინა ხელიდან ბრძოლის დროშა. დაიმსხვრა ნორჩი სიცოცხლე. გადატყდა წვერში მკვეთრი კალამი, გაცივდა მედგარი მარჯვენა, ჩაჰქრა სამუდამოდ ნათელი აზრი და ციური ნაპერწკალი. დადუმდა გული, რომელშიაც ღვიოდა სამშობლოს ზენაარი სიყვარული. მოაკლდა პარტიას სახელ განთქმული ბელადი, პირველი იდეოლოგი. მოაკლდა

მამულს ღირსეული კაცი... იტირე, აფრქვიე ცრემლი, ბედშავო საქართველო! შენ დაჰკარგე კიდევ ერთი საუკეთესო შვილი!..

კურთხეულ იყოს შენი სახელი, ქვირტასო არჩილ!..

სახელი ქვირტასო
გვიჩვენებდა
ს. ქვარიანი.

30/III—1913 წ. ქუთაისი.

ქართული მეურნეობა და ბაზარი

დღევანდელ ქართველ მეურნეთა წრეში ხშირად გაისმის: ჩვენი მეურნეობის მოვლა-პატრონობა კი შევასწავლეთ, ვიცით და ვშრომობთ კიდევ, მაგრამ რა ყრია ამ ცოდნა-შრომაში, როცა ჩვენი მეურნეობის ნაყოფის ბედი, ე. ი. მისი სყიდვა-გაყიდვა სხვის ხელშია. ერთმა მეურნემ ისიც კი სთქვა — იმისდა მიუხედავად, რომ მე ძალიანა მსურს და საშუალებაცა მაქვს ხილის ბაღის გაშენებისა, ამას ვერ ვიზამ, რადგანაც დღევანდელი ბაზრის პირობანი ხელს არ მიწყობენ მოსავლის გასაღებაში ხელსაყრელ ფასად; და ტყუილ უბრალოდ რად უნდა გავფლანგო ჩემი შრომა და ფულიო.

მართლაც, მიაქციეთ ყურადღება ქართულ მეურნეობის იღბალსა და ჩვენი მეურნეების ჩივილ საფუძვლიანადა სცნობთ. პური, ღვინო, ხილი, აბრეშუმი, მატყლი, თამბაქო და ბევრი სხვა ჩვენი მეურნეობის ნაყოფი ჩალის ფასად მიაქვთ ათასგვარ გაშმაგებულ ჩარჩ-მოვახშეებს. ერთი-ერთმანეთს ვადაბმულნი, შეკავშირებულნი საერთო ინტერესებით, მწყობრ რაზმ-რაზმად დათარეშობენ ისინი. საქართველოში და ჰყვლეფენ ქართულ მეურნეობას. შეიხედეთ კახეთში: მიაღებთ რომელიმე წვრილ მევენახე გლეხს ჩარჩი-სირაჯი და შეაძლევს მშვენიერ ნაწარმოებში 1/3 მისი ფასისას:

მაგალითად თუ საპალნე ღვინო ღირს 120 მანეთი — აძლევს გლეხს 40 მან. რასაკვირველია, რაც უნდა გაჭირვებულიც იყოს გლეხ-კაცი, მაინც ვერ ბედავს ამ სამარცხვინო ფასში თავის ნაამაგარის გაყიდვას და უარს ეუბნება. მოდის მეორე სირაჯი; ამან კიდევ იცის, რომ მის ამხანაგმა 40 მანეთი შეაძლია და უარი მიიღო და ამიტომ შეაძლევს მას

35 მან. საწყალი მევენახე ამასაც უარს ეუბნება. მაშინ მესამე სირაჯი აფასებს მის ღვინოს 30 მან. და ასე და ამ გვარად იქამდის მიიყვანენ ღვინოს გამყიდველს, რომ იგი ნატრობს, რატომ პირველადვე 40 მანეთად არ გავყიდეთ... და რადგანაც ახალი მყიდველი აღარა ჩნდება, გაჭირვებული მეურნე ჰყიდის თავის ნაშრომს იმ ფასად, რომელსაც უკანასკნელი ჩარჩი გადაუგდებს.

შეეკითხეთ ქართლელ მეხილეებს, როგორ ასაღებენ თავის მოსავალს და უმეტეს შემთხვევაში მიიღებთ პასუხს, რომ მათი ბაღების 3—4 წლის მოსავალი წინდაწინვე გაყიდულია კიდევ, გროშის ფასად, შესყიდულია ჩარჩებისაგან.

დღევანდელ ქართლის მეურნეობას ჩარჩობის ბრჭყალებში ამოსდის სული. და ამ ბედს ვერც დიდი და ვერც პატარა მეურნე ვერ ასცდება. ცნობილი მეხილე ბ. ფ—ძე იძულებულია თავის ბაღის მოსავალი, რომელიც წელიწადში იძლევა 15—20,000 მანათის ხილს, გაჰყიდოს 4—5000 მან. და ისიც 2—3 წლის მოსავალი ერთად. რაღა ეშველება წვრილ მეხილეს? რა მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს იგი? ამას წინად სოფ. რუისში ერთმა მევახშემ ფული ასესხა ქართველ გლეხს იმ პირობით, რომ სამი წლის განმავლობაში სარგებლის მაგიერ უნდა აეღო ბაღის შემოსავალი, მაგრამ რაკი ქართლის ბაღები მეწილენი არიან, ე. ი. წელიწად-გამოშვებით ისხამენ ნაყოფს, მოხერხებულმა მევახშემ ჩაუწერა ქალაქში სწორედ ნაყოფიერი წელიწადები.

რა კრიზისს განიცდის დღეს ქართული მეცხვარეობა, ვინ არ იცის. ქართული მატყლი, რომელიც საზღვარ-გარეთის ბაზრებზედ ფასობს ფუთი 15—17 მან., აძლევს თავის ყელში წაჭირებულ პატრონს 5—6 მან. აიარეთ ქსნის ხეობა, ადით ს. ახალგორში, სადაც ბუდობს ერთი ძლიერი ნაწილი ჩარჩობისა და იქ ადგილობრივ დარწმუნდებით, რა აუტანელ პირობებს უკრავენ უკანასკნელნი ქართველ მეცხვარეობას, რომ მათი ძვირფასი განძი ხელში ჩაიგდონ. ყოველ ახალგორელს აქვს ს. ახალგორში დუქანი—კანტორა, რომლის განყოფილებანი მრავლად გაუფანტავს მთაში. მთის ბილიკებზედ, რომლითაც მეცხვარეთა ფარები ბარში მიეშურებიან, ახალგორელ ჩარჩ აშენებული აქვს პატარ-პატარა დუქნები... ამ დუქნების დანიშნულებაა დაუგონ გაჭირვებულ მეცხვარეებს სხვა და სხვა მახეები... აძლევენ „ნისიად“, მატყლის ანგარიშიში, საჭირო საქონელს, ურიგებენ პაწია ბეებს, ეკვრებიან პირობით, ართმევენ ვექსილებს და ამ

რიგად, მანამ მეცხვარე ბარში ჩავა, მისი სარჩო ძვირფასი მატყლი, ყველი — ახალგორელს ჩაიღოს ფასად რჩება. მთელი დღუშეთის მაზრის მატყლი ახალგორელების ხელშია. ამ ხასიათისავე პირობებს განიცდიან სხვა რაიონების მეცხვარეებიც... შეგახსენებთ საქართველოში რამდენადაც შემუშავების მხრივ მალა სდგას. იმდენადვე შესაზარ პირობებშია მისი გასაღება.

რაღა ვნებავთ, როცა ჩვენი მეაბრეშუმენი იმისთანა ჩარჩობასაც კი უძლებენ, რომელნიც, პარკის წონის დროს, მეორე სასწორის ჯამში, საწონის მაგივრად, თავის ფეხსა სდგამენ და ამ ფეხს, „ერთ ფუთად“ სთვლიან!!

როგორცა ხედავთ, სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა გასაღება აუტანელ მდგომარეობაშია... ჩარჩობის რკინის ბრჭყალებში მოექცა დღეს იგი და ვაი იმ მეურნეს, რომელიც გაჰბედავს ამ ბრჭყალების მოსაშორებლად ჩვენს დედა ქალაქს მიმართოს და თბილისის ბაზარზედ გამოიტანოს თავისი ნაწარმოები... აქ უარესი მდგომარეობა მოელის მას. ყველას მიაქვს მასზედ იერიში, თბილისის ბაზრის ყველა წარმომადგენელი სცდილობს მის ნაწარმოების ფასი ისე დასცეს და შეამციროს, რომ მეურნემ მეორედ აღარ გაბედოს თავისუფლად ქალაქში შემოსვლა და ასცდეს მათ აგენტებს პროვინციაში, ე. იგი მათ მიერ მოწყობილ ჩარჩთა ორგანიზაციებს. აი როგორ აგვიწერს „ხმა კახეთის“ კორესპონდენტი ქიზიყის თამბაქოს გასაღების პირობებს თბილისის ბაზარზედ:

„გაჭირვებული მეთამბაქოე იძულებულია, ან ადგილობრივ ნაკლებ ფასად გაჰყიდოს და გაჭირვებას დაეხწიოს, ან და ჩაიტანოს თბილისში თამბაქოს საწყობებში და იქ დააგირავოს. ამნაირი საწყობი თბილისში, ვგონებთ, სამია: კომერციულ ბანკისა, აივაზიანცისა და ბალატუროვისა. აქ დაწყობილ თამბაქოს მეთამბაქოე აგირავებს 3—5 მანეთამდის. მაგრამ არც ეს გარემოება იხსნის მეთამბაქოეს მისი საქონლის დაფოლებისაგან, პირიქით ხშირად მეტს ხარალში აყენებს. აქ დაგირავებულ თამბაქოს აწვება დიდი ხარჯი, მაგალითად: საწყობის ქირა ფუთზედ 25 კაპ., საშუაკაცო (საკომისიო) ფუთზედ 10 კაპ., და მუშისა 5 კაპ., სულ ფუთზედ 40 კაპ., გარდა ამისა ერთმევა გამოტანილ ფულის სარგებელი ვგონებ 12⁰/₁₀₀; სამი თვის შემდეგ სარგებელი თავნს ემატება მუდამ და გამოტანილ ფულიდამ წინადლითვე ებრება საწყო-

ბის ხარჯი ფუტსედ 40 კაპ., ამნაირად ნამდვილად სარგებელი 12% კი არა, 16% უდრის.

ეს კიდევ ჯანდაბას, ამასაც აიტანდა კაცი, რომ შემდეგ თამბაქო მაინც ღირსეულ ფასად გაყიდოს და თავის საქონლის ღირებულება თვითონვე უნაკლულად მიიღოს; მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ეს ასე არ ხდება. ჩავარდა თუ არა საწყობში თამბაქო, პატრონი უნდა შორიდან გულხელდაკრეფილი ელოდეს, როდის და რას უწყალობებენ მას თავის ნაოფლარში.

როდის გაიყიდება თამბაქო და რა ფასში მხოლოდ საწყობის პატრონი და მეფაბრიკემ იცის; თამბაქოს ნამდვილმა მომყვანმა და პატრონმა კი არა. და რამდენ მანეთს ნოსკრიან თითო ფუტში ეს ღმერთმა უწყის. ასე, თუ ისე, ჩოტკის გაგდების შემდეგ, თამბაქოს მკეთებელი მთრთოლვარე ხელით იღებს გამოწვდილს გროშებს და ბოღმით სავსე უბრუნდება თავის ქოხმახს უიმედო, გულგატეხილი...“

ღიას, დღეს ქართული მეურნე, ჩაყენებული ზემო-ხსენებულ საშინელ პირობებში, მართლაც გულ-გატეხილია და უიმედოდ შესცქერის თავის მომავალსა. და ეს იხსნება იმით, რომ მის ნაწარმოებს ბაზარი არა აქვს, რომ ეს ბაზარი ძლიერ ჩარჩთა რაზმის ხელშია და რომ ეს ბაზარი ქართულ მეურნეობას მარტო აქვეითებს და ანადგურებს, და თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ დღევანდელი უმრავლესობა ჩარჩობისა საქართველოში სომხის ბურჟუაზიას ეკუთვნის, რომელიც მტრულად ეკიდება საქართველოს წინსვლას, გაძლიერებას, ცარცვა-გლეჯა ჩვენი მეურნეობისა ორკეცდება, ძლიერდება და პოლიტიკურ ელფერსაც იღებს. მით უმეტეს, რომ სათავეში ჩაუდგა ქ. თბილისი, სადაც დღეს ბატონობენ ბ. ხატისოვენი, არამიანცე-ბი, მანთაშევენი და რომლის ეკონომიური პოლიტიკა სწარმოებს ბ. „ჰორიზონლების“ ხელმძღვანელობით.

თბილისის ციტადელს სომხის ბურჟუაზია დღითი დღე ამაგრებს და მასთან ერთად შეუდგა ამნაირ ციხეების გაშენებას საპროვინციო ქალაქებში. ამით აიხსნება მათი გაშმაგებული ბრძოლა ქართულ ქალაქებში არჩევნების დროს, სომეხ ჩარჩ-მოვანშეთა უფლებათა დასაცავად ქალაქების თვით მართველობაში... აქედამ გზა გახსნილი ექნებათ ქართულ ეკონომიურ ცხოვრების სრულიად დასაპყრობად.

ქართულ ქალაქების მიწებს, სახლებს, სავა-

კროებს, ბანკებს, ბაზრებს ნელ-ნელა და გამუდმებით ხელთ იგდებენ და ასრულებენ იმ პოლიტიკურ გეგმას, რომელიც გაზეთ „ჰორიზონის“ საიდუმლოებას შეადგენს... მაგრამ ამ საიდუმლოებას დღეს ნილაბი ჩამოეგლიჯა და ჩვენს თვალწინ გადაშლილია მათი საიდუმლო ზრახვანი. ამას ამტკიცებენ ფაქტები და მარტო ფაქტები.

და რასაკვირველია, ამ პირობებში მომწყვდეული ქართული ეკონომიკა უნდა სუსტობდეს და ქართული მეურნეობაც ძნელად იკიდებდეს ფეხსა ახალ გზებზედ... მაგრამ ისიც მართალია, რომ ქართველობა, დღითი-დღე გონზედ მოდის და გაარჩია კიდევ თავის მტერ-მოყვარები... ეს არის თავდები მისი მომავალ, ერთობ მოწყობილ ბრძოლისა თავის ეროვნულ ინტერესების დასაცავად და ბრძოლა აუცილებელი და ყოვლად საჭიროც იქნება.

დ. კახელი.

მიმქრალი სულის აღსარება*)

* *

...იმ ინციდენტის შემდგომ სასტიკად გადაწყვიტე დორაზე სრულებით აღარ მეფიქრნა. ოთახი გავანათე, მიველი ჩემს წიგნთსაცავთან და ფრანგთა ავტორები გადმოვიღე, მაგრამ რომანებს თავი გავანებე და ჩემს საყვარელ ფილოსოფიას დავუბრუნდი, ეს უფრო გამართობს—მეთქი. წარმოიდგინეთ, შოპენჰაუერმაც კი ძილი მომგვარა, ეს იმ შოპენჰაუერმა, რომელიც უკანასკნელ ხანებში თავდავიწყებით მიტაცებდა. სამაგიეროდ, ნიცშემ აღმაფრთოვანა. წინად თუ მას ვულოგარ აღამიანად ვთვლიდი, ეხლა სინარულით დავებლაუჭე მის აფორიზმებს ქალების შესახებ: „ქალები კატებსა ჰგვანან...“ „სათამაშო ნივთს...“ „რაინდის მოსასვენებელ კარავს...“ უკეთეს შემთხვევაში — „ძროხებს...“

რა რიგ გადვიხარხარე, როდესაც ეს სტრიქონები გადვიკითხე! ეს იყო შურის საძიებელი ფრაზა. რომლითაც დორას გულზე ლახვარს დავცემდინ იცის, იქნებ ცინიკურ სიმდაბლემდინ დავშვე-

*) იხ. „კლდე“ № 9, 10, 11, 12 და 14.

ბულიყავი, რომ უეცრივ არ გამხსენებოდა: აკი გა, დავწყვიტე, დორაზე აღარ ვიფიქრო --მეთქი! „რამდენად მალლა ვსდგევარ ამ შეჩვენებულზე და წარამარად მის ლანდს თან დავსდევ დასაჭერად!..“ გავიფიქრე გულში და უსიამოვნოდ გავაფურთხე.

ნიცუმე დავხვრე. გაზი ჩავაქრე და ლოგინს მივაშურე. განგებ აღგებრისა და გეომეტრიის ფორმულებს დავუწყე კრიტიკა. საბრალო ევკლიდი სულ ჯვარს ვაცვი; ბეკად დავსახე, ვუმტკიცებდი, სწორე კუთხე და აღმაცერი თანაბარნი არიან მეთქი. ამ დებულებას ისეთის გატაცებით ვამტკიცებდი, რომ წარბშეუხრელად გადავწყვიტე; კურსების განახლებისთანავე რომელიმე მათემატიკოსი პროფესორი ჩამეგდო ხელში და ზურგზე სულ ბოლი ამედინებინა. მაგრამ... დასწყევლოს ღმერთმა, სულ აღარ მახსოვს ამ აბსურდების ბურუსიდან რა მანქანებით გადავფრინდი დორას სარკმელთან.

— ნახე, რა მიყო იმ შეჩვენებულმა, მაცალლოს!..

მხოლოდ გათენებისას ჩამეძინა. სიზმრადაც კი დორა მომეჩვენა. ჩემს ოთახში საწერ მაგიდასთან ჩამომჯდარიყო და არხეინად ქალაღდსა შლიდა. უეცრივ აგურის ქალი აიღო, ერთი კუთხე მოახია და ისე გადმომიგდო. თან გაიღიმა. მეწყინა, რას დამცინის მეთქი. შევვუტე და გამომეღვიძა კიდევ; უსიამოვნოდ გავატაკუნე ხელები. ჩემს წინ კედლის სარკეში რომ ჩავიხედე, გაფითრებული სახე შევნიშნე და უფრო უსიამოვნოდ ვიგრძენი თავი.

შე ოხერო ჩემო თავო, რა მაგისი გცხელა, რომ კვდები—მეთქი!

პირუბანელი ჩაველი სასაუზმოდ. მადლენამ ფრანგული კვერი მომიტანა და კაკაო.

— ბატონი ცუდ ფერზე ბრძანდება...

— მართალს ამბობ, ცუდად მეძინა...

შემდეგ ყური აღარ მიგდია მისი ყბედობისთვის, შენ და შენს თავსა თუ არ ჩამომეცალო მეთქი, ვსტკვი გუნებაში და კაკაოს დაღვეისთანავე ჩემს ოთახში ისე გავწიე, რომ მადლენასთვის წერილები არ მიკითხნია, როგორც ეს ჩვეულებადა მქონდა.

— ახლა რა ვქნა, რა გავაკეთო, — ვფიქრობდი ჩემთვის. გული არაფერზე არ მიმდიოდა. — ჩემს თავს კი წარა—მარად იმას ვავალეზბდი, რომ დორაზე ხმა აღარ ამოვლო—მაგრამ საათის მეოთხედსაც არ გაველო, რომ უცნაურად ჩემი გარდაწყვეტილების გეგმა სულ ერთიანად შეიცვალა: ვითომ რა იქნება, რომ დორას შევურიგდე? სტუდენტურს

ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდება ასეთი. წავალ ბოდის მოვიხდი.

თქმა და ქუდის დახურვა ერთი იყო/ არა ჩვეულებრივ ადრიან მივადექი დორას სიხარულს. მოსამსახურე დედაკაცმა მითხრა, ~~ბეკად დავსახე~~ დილაზე პარიზში წავიდაო. მეუცნაურა. მადლობა გადავუხადე ამ ცნობისათვის. გამოვტრიალდი. გული დავიმშვიდე, სალამოთი მაინც ჩამოვა—მეთქი. მთელი დღე სულ სადგურს ვდარაჯობდი გამოსასვლელ კარებთან, მაგრამ ამაოდ: დორა არ დაბრუნებულა. ასევე განმეორდა მეორე დღეს, მესამეს... მთელმა კვირამაც ფრთა შემოჰკრა, მაგრამ დორა მაინც არსადა სჩანდა. მოუსვენრობამ მიმატა. აღარ მოვუცადე. ერთ მშვენიერ დღეს პარიზში ავგრიადი. ლათინთა უბანი მთლად გადავჩხრიკე, მაგრამ დორას ასავალ-დასავალს ვერსად მივაგენი. საზოგადოთ პარიზს ახალგაზრდობა შემოჰფანტვოდა. სტუდენტობა სააგარაკოდ გახიზნულიყო. რუსებსაც ვერსადა ვხედავდი, არა თუ ქართველს, რომელთა რაოდენობა იმ დროს თითებზე ჩამოითვლებოდა. სამაგიეროდ, ერთს ჩემს ძველს მეგობარს კი შევხვდი, რომელიც ენევიდან ამოსულიყო. ძლივს ვიცანი, იმდენად გამოცვლილიყო.

— სანდრო, — შევძახე სიხარულით!

ერთმანეთს გადავხვით. დასალუბი, ინგლისურად გამოწყობილიყო. ადამიანი ასე ადვილად ვერ იცნობდა.

— საიდან, როგორ?—

ვეკითხებოდით ერთმანეთსა. მიხაროდა. ისიც ჰხარობდა. ხან მე, ხან ის ვეპატივებოდით ერთმანეთს. ერთგან შამპანიურიც კი მივაყოლეთ წითელ ბორდოს.

— მაშ მეორე კურსზე ხარ? ყოჩაღ, სანდრო, შენ გიჯობნივარ. მე კი არ ვიცი, რითი ვიმართლო თავი.

შურით ვუსმენდი მას. დავნაღვლიანდი, რომ სანდრომაც კი მაჯობა, ეს იმ სანდრომ, რომელსაც ხშირად თხულებას მე თითონ ვუწერდი, რომლისათვისაც სამის მიღება ერთი დღესასწაული იყო ხოლმე. მრცხვენოდა ამანაც ასე მაჯობა, ბარემ თავი მოვიკლა, ის არა სჯობიან მეთქი. მაგრამ სანდრო მამშვიდებდა.

— რა უშავს, მეგობარო, მეუბნება, — მაგისთანებს როგორ შეუშინდები. მეც ბევრი ვეწვალე, ბევრი. პირველად პროფესორი რომ კათედრაზე დავინახე გადმომდგარი, ისე შევყურებდი, როგორც მომავალ მატარებელს დამფრთხალი ხარი.

შემდეგ გამაცნო ენეველ სტუდენტების ცხოვრება, თუ ვინ როგორ „ობრობდა“, ანუ ქართველობამ ამა და ამ „ობრული საქციელით“ როგორ „ისახელა თავი“ თვით გაზეთებშიც კი.

— მაგრამ ეგ რა არის, — შეუბნება აღფრთოვანებული სანდრო, — უფრო საანგდოტო ამბავს გეტყვი. ერთხელ ლოთიფოთურად მივდიოდი, წინ ვილაცა შემომეყარა. აღარც ვაციე, აღარც ვაცხელე და შიგ „ფათრეთში“ თხლაშა გავადინე. როგორ გგონია? საწყალი, გაიშხლართა. შემდეგ წამობტა, დამფრთხალი შემომაცქერდა და უცხად ისე გაჰკურცხლა, რომ უკან აღარ მოუხედნია...!

ბევრი იცინა სანდრომ, როცა გაიხსენა უბედურ გალახულის სირბილი. მეც ვიცინოდი, ვიცინოდი გადარეული. ის კი თან და თან ეშხში მოდიოდა.

— მაგრამ იცი რა, — შეუბნება აღფრთოვანებით, — ამ ამბავმა პრესაში იჩინა თავი. ვნახოთ ორი დღის შემდეგ ერთ რესტორანში ვარ, სადაც ჩვეულებრივ ქართველობა თავს ვიყრით ხოლმე. შევხედოთ, ვილაც ჯენტლმენი შემოდის.

— აქ ხომ ქართველი არავინ არის: — იკითხა. სიხარულით პასუხი მივეცი, არიან მეთქი, მაგრამ თან კითხვაც მივაყოლე:

— რად გნებავთ?

— მხატვარი ვარ. ველუსის ტიპი მსურს დავხატო, ვფიქრობ, ქართველი საუკეთესო მოდელი იქნება მეთქი.

ამ სიტყვებზე ავენთე, ყირა-ყირა ვატარე შენი მხატვარი და თან ხმა მალლა შევუყვირე: თვითონ ქართველი გახლავართ მეთქი...

მის საარაკო თავგადასავალში სასიყვარულო ეპიზოდებსაც ადგილი ჰქონდა დათმობილი. მიაბზო, თუ კურსისტი ქალი, ვინმე ბულგარელი, სახელად სენკა, როგორ გააბრიყვა.

— ღვთის წინაშე; ბევრი კი ვეცადე ბიჭო. ყარსის ციხეზე მეტად საძნელო ასაღები გახდა. ბოლოს ულტიმატუმი დავუყენე: Видишь-ли ш-ле Сенка, я стою какъ скала! — ნაპოლეონის პოზა დავიჭირე. გულხელ დაკრებილი წარბ შეკრული გადავყურებდი გვერდით. ველარ გაუძლო. მომეხვია, შენი ვარო, ოღონდ შემომფიცე, რომ არ მილალატებ და საქართველოში წამიყვან. მეც რას ვკარგავდი, შევფიცე...

შედგად ის მოჰყოლიყო, რომ ш-ле სენკა იძულებული გამხდარა სასოწარკვეთილება თავის

მოკვლით დაეძლია და მატარებელს ჩავარდნოდა.

ეს გაზეთების საშუალებით გავიგე ერთი კვირის შემდგომ, როცა სენკა გავაგდე — მეც შევბნება სანდრო. — По все это — пустяки! Нужно жить с братъ, иначе нельзя! ჩემი დევიზი — отнять у жизни то, что только можно, а дальше что будетъ, все это чепуха!

მან ბევრი იცინა ჩემს შესახებ, როდესაც ჩემი დორასთან ინციდენტი უამბე, განა არ ვიცოდი, რომ შენ მუდამ ასეთი უშნო იყავიო.

ყავახანიდან სამიოდ საათი კიდევ ვიხეტიალეთ პარიზში. ლუვრის მუზეუმშიაც შევიხედეთ, რაკილა ჩემს მეგობარს არაფრად მოეწონა იგი, იეფელის კოშკზე ასვლა შეინტერესებოდა, იქ წავიყვანე. აველით. ჩამოსვლისას მეტროპოლში ჩაველით და საათის მეოთხედში სამხრეთის სადგურზე ამოვყავით თავი, საიდანაც პირდაპირ ვილმობლში გავეშურეთ საღამოს მატარებლით.

* * *

აგერ ეს სამი დღეა, რაც სანდრო ჩემთან დაბინავდა. ვილმობლი იმდენად მოეწონა, რომ ენევაში დაბრუნებას აღარ ფიქრობს. მეც სიხარულით ცას ვეწევი. გართობა დიდია. ეს ადამიანი მარჩიელივით მიქარვებს დორას ჯავრსა. ან ვის სცალიან მისთვის ჩვენთვის ისიც საკმარისია, დილა აღრიან ავდგეთ, ველოსიპედს გავკრათ ფეხი და მთელი დღე ცის ქვეშ გავატაროთ. მაგრამ უბრალო შემთხვევა სცვლის გარემოებას. სეირნობიდან ვბრუნდებით. რანსის მიდამოები მივლახ-მოვლახეთ და ის-ის იყო, ვილმობლში ვაპირებდით შემოსვლას, რომ დორა წინ შემოგვეყარა. იის თაიგული ეჭირა ხელში. სწრაფად გადმოვბტი, მივესალმე, სანდროც გავაცანი. ამ დროს ნაშინალურად გამახსენდა ყოველისფერი, მაგრამ გვიანლა იყო. თავი მაინც გამოვიდე.

— ყველაფერი დავივიწყოთ, დორა, მოქალაქობა ყოველ პირად ანგარიშებზე მალლა უნდა იდგეს..

დორამ უხმოდ ხელი ჩამომართვა. ნაწყენობა მაინც ეტყობოდა.

— ბიჭო, ეს ის არის?

ქორიკულად გამომეხმაურა სანდრო.

— ჰო.

მან გაიღიმა:

— მართლაც ლამაზი გოგონაა!

— განა!

სიხარულით წამოვიძახე და ელვის სისწრაფით გავივლე გულში, რომ დორა ისევ მე მკეუთვნება და ჩემი ცოცხალი თავით არავის დავანებებ მეთქი.

ორიოდ ნაბიჯიც არ გაგვევლო, რომ სანდრომ დორა ხელიდან გამომაცალა. სწორედ მოგახსენოთ, გამეხარდა: შერიგების პლატფორმა უფრო გამტკიცდება მეთქი.

— მაშ ენევიდან ბრძანდებით? — ჰკითხავდა დორა, მეც ვიცნობ ენევას. თითქმის სამი თვე ვცხოვრობდი, ძალიან მომწონს, ლამაზი ქალაქია, პატარა პარიზია.

შემდეგ ნაცნობები იკითხა. აღმოჩნდა, რომ სანდრომ მართლა ბევრს მათგანს იცნობდა. მიკვირდა, ამდენი გოგოები როგორ გაუცვნიან მეთქი. თავისი მხრით სანდრომ ქართულ კალონიაზეც მოუთხრო ცოტა რამ. მაგრამ რაკილა მიხვდა, დორა პარტიოტი ქალიაო. ადგა და სულ სოციალ-დემოკრატების ლანძღვაში გაატარა მთელი საათი. წარმოიდგინეთ, პარტიული მანიისაგან ქართველობაც განვთავისუფლდითო.

— მე სოციალ-დემოკრატი გახლდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც პლენანოვთან მომიხდა საუბარი საქართველოს ბედ-იღბალზე და მან განცვიფრებით შემნიშნა, ნუ თუ ქართველებსაც ავტონომია ეჭირვებათო, სასტიკად ავენთე და იქნებ სილაც გამერტყა, რომ თავი არ შემეკავებინა.

დორაც განცვიფრებით ყურს უგდებდა სანდროს, მე კი მიხაროდა, მიხაროდა, რომ დორას, თვალში ჩემი პრესტიჟი აიწყოდა: ხუმრობა იყო, ქართველ ახალგაზრდას თვით პლენანოვთანაც კი კამათი შესძლებია, და ეს ქართველი ხომ ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო!

* * *

...აჰ, საშინელება... დორა... სანდრო... სანდრო... დორა... ღმერთო... ოჰ, ღმერთო!..

* * *

...რა რიგ დავიღალე... მაგრამ არა, არ შემოდლიან ისე ადრე ჩავაქრო ჩემი დიოგენის ფარანი, რომლითაც რა ერთი ხანია დავებეტები წყვდიადით მოცულ უდაბნოში! დავიწყებ ბედნიერების ძიებას, როგორც ყველა ადამიანი, მაგრამ ჩემი ლტოლვის მერანი ჩემს წინ ეცემა დაკოდილი. საითაც გავიხედავ, ყოველგან მწუხარებას ვჭკრეტ, შავი მანდილით

შემოსილს სევდას, რომელიც ბლაგვი კბილებით ღრღნის და ვერ დაულრღნია უკვე ხედავ გამოფუტუროებული კაცობრიობის გული... ყოველგან ტანჯვა... ყოველგან ნისლით მოცულ უფლებიონტი... ბევრი მიკითხავს, ბევრი ორატორი მინახავს მკვეთრი სიტყვებით აღჭურვილი, მაგრამ ბედნიერების დახშულ კედლებზე ამაოდ, დიახ ამაოდ იმსხვრეოდა მათი ფარხმალი. მხოლოდ ხმა, დამცინავი ხმა ათსში ერთხელ გაჰკვეთს იდუმალების კრეთსამელსა რომ ჯადოსნურ სხივებით თვალ წინ წამოგვიყენოს სიცოცხლე, როგორც სიცარიელე და დაუსრულებელი სევდა, რომელიც შობის პირველ დაკვივლებიდან სარეცელზე დასვენებამდე მხოლოდ ერთი მწუხარე ჰანგით დამღერის თავის აკვანს და საფლავსაც. იკარგება ცხოვრების შინაარსი... იკარგება თვით აზრიც... ბედნიერებაც სიტყვად რჩება... ცარიელ სიტყვად!.. „ცხოვრება უაზრობაა!“ ისმის ყოველ მხრით. შობენ ჰაუერის მიერ ამართული ბნელი დროშა კრემლით დართვილულ მწუხარ კორდზე არც ერთი წამით არა სწყვეტს ფრიალს. „ნუ ეძებთ ბედნიერებას!“ ყრულ გაისმის ნაზარეველის ხმა. ინგრევა ყოველისფერი. არავინ არა სჩანს წინასწარმეტყველის ღვთიური კვერთხით, ხმა ჰყოს ძლიერად და აგვიხსნას, რა არის ცხოვრება? რა არის მისი დედააზრი?.. სდუმან... გონების სილატაკე განგაშს სცემს ყველგან. თვით ზეკაციც კი საფლავში დევს შუბლ-შეჭმუხვნილი. ჩემი ფარანიც ბჟუტავს, ბჟუტავს, როგორც ოცნებით გატაცებულ პოეტის დაქანცული გონება. ჰქრის ქარიშხალიც, რომელიც თვითეულ ღრმა ამოსუნთქვაზე ერთგვარად არყევს კვიპაროსსა, ას წლოვან მუხას, ტოტებ შრიალა ქალწულ ბზასა, თუ კეკლუცად მოკისკასე ვარდნარის ბუჩქებს... მიჰქრის სფერა მწუხარების, მიჰქრის ეს ტანჯვის სარბიელიც და მეც მივდევ და ვეძებ... უძახი... რაღაცას ვუხმობ... იქნებ თვით აზრს დასაწყისისას?!.

მაგრამ... ოჰ, ტვინი... მწუხარება... რა იქნა სანდრო?..

* * *

...მე მათ მოვასწარ... ოთახი ჩაებნელებინათ. ჩემს შეკრთომაზე სანდრომ გადინარხარა. დორას მხრითაც გაისმა ხმა. არ ვიცი, ესეც ხარხარი იყო თუ ისტერიული კივილი. ვიცი მხოლოდ, რომ გამაგებელი ჩემს ბინისაკენ გავეშურე, მაღლენა ნა-

ძალადევიად შევიტორიე შიგნით და ოცდა ხუთ ფრანკთან ერთად პირველად მას შევსწირე ჩემი ქალწულობა.

ოჰ, წყეულო დღევ!..

დ. კასრაძე.

(დასასრული იქნება).

მოწუობილი სოფელი

„ამას წინად განოსული წიგნაკი სოფელ ლისკოვოს (მინსკის გუბ.) შესახებ, ნათელ ჰყოფს იმ ორგანიულ მუშაობას, რომელსაც აწარმოებენ დღეს პოლონეთში.

ლისკოვო—თავისი რაოდენობით და შემადგენელობით ტიპური სოფელია მხარისა, მაგრამ კულტურულად გაცილებით მაღლა სდგას პოლონეთის ჩვეულებრივ სოფელზედ.

სოფ. ლისკოვოში ამ ჟამად არის—მომხმარებელი საზოგადოება, სამეურნეო საზოგადოება, ქალთა წრე, კოოპერატიული საერბოსმკეთებლო, სახალხო სახლი, საქსოვი სახელოსნო, სახელოსნო სათამაშოებისა, ცეცხლის მქრობელი თავისუფალი რაზმი, შემნახველ-გამსესხებელი კასსა, ბავშვების თავსაფარი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სამარხი კასსა, სკოლა, - თავსაფარი მოხუცებულთათვის, ბავშთა სამზრუნველო საზოგადოება — „ბუდე“, თეატრი და ხორო. ამას გარდა აბანო, სამრეცხველო და საზოგადო სათონე. თითქმის ყველა ეს დაწესებულება აღმოცენდა უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში.

ყველა ეს დაწესებულება ნორმალურად მოქმედობს: მომხმარებელი საზოგადოების საბრუნო თანხა ავიდა წარსულ წელს 10,000 მან.; სამეურნეო საზოგადოებამ შეიძინა 20 ვაგონზედ მეტი ხელოვნური სასუქი და 100 თუმანზედ მეტი სარგებელი შემოუტანა თვით საზოგადოებას. საქსოვ სახელოსნოს 1911 წ. ჰქონდა 23,000 მან. საბრუნო თანხა და სხ. და სხ.

კარგად მოქმედობენ განმანათლებელი დაწესებულებანიც. უკანასკნელ რამდენიმე წელს პროცენტი წერაკითხვის უცოდინარ ბავშვთა დაეცა 20-დან 8-მდე. სახალხო სახლი კარგა დიდი და მოხდენილი შენობაა, საცა სწყდება ყველა საზოგადოებრივი საქმე“. (რჩ.)

ამისთანა სასოფლო სურათს ცოტადა შეიძლება დაემატოს რამე და აი საით უნდა იქნას მიმართული ჩვენი საზოგადოებრივი ყურადღება, რადგან მხოლოდ ასე ორგანიულად შეკავშირებულნი სოფლის შეუძლიან განავითაროს არა მარტო მათი ეკონომიური მდგომარეობა, არამედ ეროვნულ კულტურაშიაც თვალსაჩინო ადგილი დაიჭიროს. როცა სოფელი გამაგრდება, მარტო მაშინ შეგვეძლება თამამად თავის აღება და თქმა იმისა, რომ... „არ მომკვდარაო“, თორემ ეხლა, როცა ჩვენი ცხოვრება მთლად განადგურებულია პოლიტიკურადაც, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, როდესაც ჩვენი კულტურული დაწესებულებანი თავ-აზნ. „მოწუალებისაგან“ არიან დამოკიდებულნი და საკუთარი საფუძველი ფრიად სუსტი აქვთ—ლაპარაკი ეროვნულ საკითხებზედ და პოლიტიკაზედ ცარიელ სიტყვადა რჩება და უკეთეს შემთხვევაში ეროვნულ გრძნობას არა სცდება. ეროვნული გრძნობანი, იქნებ ლამაზნიც იყვნენ, როცა გვაერთებენ ვისიმე თაყვანისა და პატივის ცემაში, სახელოვანთა გლოვაზარში, მაგრამ ძალა სიცოცხლისა, ერის ცხოვრებისა— მის ეკონომიურ აღორძინებაშია. და სოფელს, როგორც უდიდეს ნაწილს ჩვენი ხალხის ნიადაგისას, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს.

კოოპერატორი.

უკანასკნელი ამბები

პოლიტეხნიკუმი საბურთალოზედ

გამოირკვა რაოდენობა მიწით და ღირებულება შემოწირულობისა საბურთალოზედ პოლიტეხნიკუმის ასაშენებლად.

თბ. გ. თავად-აზნაურობას შეუძენია სყიდვით 100 დეს. (28 მარტს უფროს ნატარიუს შიტკევიჩთან შეუღვენიათ კიდევ ნასყიდობის ქალაქი) აქედან 50 დეს. რომ დასჭირდეს თვით შენობათ, დანარჩენი 50 დესეტინა წარმოადგენს საფასურს.

1) 50 დეს. საყენი 8 მან. რომ ვიანგარიშოთ სულ - 960,000 მან.

2) 30 დეს., შეუწირია ოღლა საჩინოს ასულს გაბაშვილისას საყენი—12. მან. 864,000 მან.

3) 14 დეს. 614 კვ. საყენი. თავად გიორგი სპირიდონის ძე ხიმშიაშვილსა საყენი—5 მან. სულ —171,070 მან.

4) 5 დეს. თ. გრიგოლ ნიკ. ძე დიასამიძისაგან საყენი 5 მან. სულ — 60,000 მან.

5) დეს. ალ. და ნიკ. გაბაშვილებისაგან და თამარა ნაცვალაოვისაგან, საყენი 2 მან. სულ— 43,200 მან.

6) 1 დეს. მეფოდი ჭიჭინაძესაგან, საყენი 10 მან. სულ—24,000 მან.

7) 1/2 დეს. მ. ხახვანეზოვისაგან, საყენი 10 მ. სულ—12,000 მან.

8) 30 დეს. იოსებ იაკ. ძე გაბაშვილისაგან საყენი 20 კაპ.—14,000 მან.

9) 5 დეს. იოსებ დავითის ძე გაბაშვილს და მის ძმებსა საყენი 1 მან. - 12,000 მან.

10) 25 დეს. აგრანომ სერგეი ნიკ. ძე ყახაშვილისგან, საყენი 50 კაპ.—30,000 მან.

11) 25 დეს. ვ. ბაისოლოლოვისგან და კეპინოვისგან, საყენი 50 კაპ—30,000 მან.

მთლად ჯამი შემოაწირულებისა 2,220,070 მან. ამას რომ გამოვაკლოთ იმ მიწის ღირებულება, რომელიც დასჭირდება ქუჩებად 220,070 მანეთისა დარჩება 2,000,000 მან. ღირებულება.

აი ამ ღირებულების მამულს სწირავენ საბურთალოზედ თავად-აზნაურობა და კერძო პირნი პოლიტეხნიკუმის ასაშენებლად. ყოველივე ამ ჩამოთვლილ შემოაწირულებაზედ უკვე ხელ-წერილობითი განცხადებანი ჰქონიათ შეტანილი თბ. გუბ. თავ-აზნ. წინამძღოლთან ცალკე არჩეულ კამისიაში, რომელიც საგანგებოდ საბურთალოზედ შემოაწირულობის მისაღებად არის არჩეული. გამოიკვეთა ამასთანავე ერთი უპირატესობაც საბურთო. პოლიტეხნიკუმისა: საქმის კარგა მცოდნე პირთაგან ნაანგარიშევიან რომ მარტო აგურის გადაზიდვაში დიდი განსხვავება არის. პოლიტეხნიკუმს დასჭირდება 40—50 მილიონამდე აგური. საუკეთესო აგური კი კეთდება მარტო ვერაზედ. ვერიდან მიზიდვა ნავთლულში ათასი დაჯდება—7 მან. ვერაზედ კი—ათასი—2 მან., ისე რომ ათასზედ განსხვავება არის 5 მან.—40 მილიონზედ კი—200,000 მან., აგრედ-

ვე ლამის მიზიდვასედ იქნება ეკონომია 30,000 მან., უკეთუ თვით პოლიტეხნიკუმი გამართავს საკუთარს აგურხანას მაშინ ათასი აგური დაჯდება 3 მანეთი 40 მილიონზედ კი ეკონომია უკიდევ 120,000 მანეთი. აგრედვე, როგორც შევიტყუთ 11-ს აგურხანის პატრონს განუცხადებია, რომ უკეთუ საბურთალოზედ აშენდება პოლიტეხნიკუმი—5 მილიონ აგურს უფასოდ დაუთმობთ პოლიტეხნიკუმსაო.

როგორც გვაცნობეს, ვინმე დოღუხანოვს ლოტკის გორის გადაღმა ვითომ შეუწირია პოლიტეხნიკუმისათვის 100 დესეტინა მიწა. ვერის მემამულეთა უხვ შემოაწირულებამ, სჩანს სოლოლაკელებს ძილი დაუფრთხო. ყველა ღონისძიებას ხმარობენ, რომ პროექტი და თბილისის პოლიტეხნიკუმს თავი ისეთს ალაგას უკრან, სადაც აეროპლანებით სიარული დაგვჭირდება.


ხუმარები ამბობენ, თუ „ლოტკის“ პროექტი უკუგდებული იქნება მაშინ აპრობენ ამ ალაგის გადატანას ოქროყანას.

კახეთის რკინის გზა

როგორც ირკვევა, კახ. რკ. გზის ბედი, ახლა კიდევ ახალს ფაზას განიცდის და რაც ათასჯერ გადაწყვეტილი და გამორკვეული უნდა ყოფილიყო, მარტო დღეს იღებს თითქო მკაფიო სახეს. თავ-აზნ. მტკიცე გარდაწყვეტილება რამდენჯერმე შეარყიეს სხვა და სხვა შეუგნებელმა ელემენტებმა, როგორც ბანკების ხრიკებში მონაწილეობით, ისე უთავბოლო ყვირილით კრებებზედ, რითაც საქმის გაძნელებას სცდილობდნენ და არა გამორკვევას. მაგრამ უკანასკნელმა დებეშამ პეტერბურგიდან თითქო სანუგეშო ამბავიც მოგვიტანა და პრინციპიალურად კახ. რკ. გზის დამოუკიდებლობა გარდაწყვეტილია. დებუტატთა საკრებულოს გაძლიერებულ კრებაზედ არჩეული კომისიებიც (საფინანსო და იურიდიული), როგორც ხმები დადის, არკვევენ, რომ იურიდიულადაც და ფინანსიურადაც საქმე კარგად მოეწყობა, თუ კიდევ ვინმე არ რამე მოუ-

ლოდნელი არ შეუშლის ხელსა. ამიტომ ჩვენ მოვიწვევთ ყველა დაინტერესებულ პირთ დამშვიდებით და დარბაისრულად მოექცნენ ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან საქმეს და ვეცადოთ ჩვენდა საკეთილ-დღეოდ განვახორციელოთ საერთო მისწრაფება. დროებით მაინც დავივიწყოთ ხოლმე ის უთანხმოებანი, რომელთაც კერძო, ან სხვა ფარგლის ხასიათი აქვთ, რომ დიდი და საშვილიშვილო საქმე შეუგნებლად და მოუფიქრებლად ხელიდან არ გაუშვათ. როგორც გურამიშვილი იწერება პეტერბურგიდან, გაერთიანება კახ. და სიღნაღბაქოს რკ. გზისა უარყოფილია, მაშასადამე ხელში რჩება თ.-აზ. ერთად-ერთი საშუალება რაც შეიძლე-

ბა მალე და იაფად იშოვოს ფული იმდენი აქციის შესაძენად, რამდენიც საჭიროა გზის პატრონობისათვის. *)



„სახ. გაზ.“ პრემია.

ჩვენ რედაქციას მოუვიდა „სახ. გაზეთის“ პრემია „უცხოეთის მწერლები“. გარეგნულად ლამაზად არის გამოცემული და კარგ ქალაღზეა დაბეჭდილი. შეიცავს 400-მდე გვერდს. თარგმნილია: პ. სენკევიჩისა — მწერალი ზოლზიკევიჩი; კნუტ ჰამსუნისა — ვიქტორია; არ. შნიცლერისა — სიკვდილი და აკვ. სტრინდბერგისა — მამა.

ბაღკანეთის ომი და მეზობელი სახელმწიფონი

მოკავშირეთა ომი ოსმალეთთან თითქმის დასრულდა, უკვე საშავრენი აღებულია და თვით „უკანასკნელი სიტყვა სამხედრო მეცნიერებისა“, რკინით, ქვით და ბუტონით გამაგრებული აღრიანობალი დაეცა.

სკუტარის — ევროპამ მოარვედობა გამოუცხადა და მარტო ეს თუ გადაარჩენს აღებას; ერთად ერთი ასაღები საშავრე რჩება ჩატალფას შეუვალი რკალი, მაგრამ მოკავშირენი აღარც ისე თავ-გამეტებით სცდილობენ მას შეხერხვას: მიზანი მიღწეულია — სისტემა მტარვალი დამარცხებულია და თავისუფლება აღდგენილი.

მოკავშირეთა ერთსულფანობამ და მისმა, ესეა უკვე განთქმულმა, სარდლებმა ქვეყანას დაანახეს, თუ რა შეუძლიან ჰატარა ერთა შეთანხმებას, დიდთან ბრძოლაში, დაამტკიცეს თუ გაჭირების დროს რა სახითათო მდგომარეობაში ვარდება დიდი სახელმწიფო, რაფა უდიერად სთელავს ჰატარათა ინტერესებს და სიღნაღხეს. დღეიდან, ეს — სისწრაფით თავბრუდამხვევი და შედგარი ბრძოლა კლასიკურ მაგადითს წარმოადგენს ერთის მხრით მძლავრ სახელმწიფოთათვის, რამდის ფარგლებში მოქცეულნი არიან სხვა და სხვა ეროვნებანი და უნდა ჩააფიქრეს ამაზედ; მეორეს მხრით, ეს ომი ერთსულ კიდევ ნათელჭოფს ჰატარა ეროვნებათა თვითარსებობის უნარს, რასაც ევროპის სამხედრო მეცნიე-

რება უარჭყოფდა იმ მოსაზრებით, რომ თანამედროვე ჰირობებში, მარტო დიდს სახელმწიფოთა აქვთ შეძლება განვითარებისა და ზრდისა. აქედან ის დასკვნაც გამოგვავდათ, რომ დიდ სახელმწიფოთ უფლება აქვთ, მაშასადამე, ჰატარანი გადაუღაზონ, რადგან ეს ისტორიული კანონებით აღრე თუ გვიან უნდა მოხდესო.

მაგრამ ისტორია უოველთვის არღვევდა იმ კანონებს, რომელსაც მისთვის სთხზავდნენ კანონმდებლები საკუთარი გეზონებისამებრ.

ბაღკანეთის ტრაგედია შეუმხვეველი არ დარჩა არც დახვრულ ეროვნებათ, რომელნიც ისტორიის ბრუნვით მოჭევენ სხვა ერის სახელმწიფო ფარგლებში და მით უმეტეს იმ სახელმწიფოთ, რომელნიც თვითონ შეიღავენ ან შესდგებიან სხვა და სხვა ერებისაგან.

როგორც მოსალოდნელიც იყო, უმთავრესად ამ ახალმა მოვლენამ, უურადდება მიიქცია მეზობელ ერთა და სახელმწიფოთა.

ავსტრიის, გერმანიის და რუსეთის მთავრობანი, და მათ ფარგლებში მოსახლე ერები ბაღკანეთის ამბებ-

*) ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, რომ გურამიშვილის დებეშაც მოვიდა, რომლითაც გვატყობინებს, რომ ჯარიმა (неустойка) უკუვადებულა.

მა ჩააფიქრანეს. ავსტრო-უნგრეთი, რომელიც ხსკუ-
რად სხვა და სხვა სლავიანებისაგან შესდგება, ძალა-უნე-
ბურად ანგარიშს უწევს თავის დიდ ხაწილს და პოლი-
ტიკურ ნაბიჯებს უფროს სიფრთხილითა სდგას. ჩვენა
დღეს ხმა-მადლა მოათხავს, რომ ავსტრო-უნგრეთის
სახელმწიფო ახლა ორა ხაწილის მაგიერ სამისაგან უნ-
და შესდგებოდეს, რომ სლავიანთაგან საკუთარი თვით-
მართველობა უნდა მიეცეთ. რადგან საერთო პოლიტი-
კური პრინციპები მოადრუბლა, ავსტრიამ თავის პოლი-
ნეთსაც არამთუ შეღავათი მისცა, რუსეთს დაუპირდაპირა
პოლიტიკითა გრძნობაც და შეიარაღებული რაზმები შეაღ-
ვინა მათგან. საზოგადოთ, რაგონაც ამ მხრივ უკვლავ-
ზედ შეტად აჭრელებული სახელმწიფო, ავსტრია დიდ
გასაჭირში ჩავარდა და თითქმის დარღვევის პირამდეა
მისული.

ჩვენი აღარას ვიტყვით თვით ოსმალეთზედ, რომ-
ელიც, რაგონაც სახელმწიფომ არა მარტო დაჭკარვა
დიდი ხაწილი ტერიტორიისა, არამედ შინაგან კრიზის-
საც ისე მძლავრად განიცდის, რომ იქნებ ვეღარც კი
მობრუნდეს და დარღვევს სამუდამოდ. მისი მთავრობის
უხეშმა და უკულტურმა პოლიტიკამ გააბრძოლა და შეა-
წება ერთმანეთთან შტრებიც კი.

გერმანიას თუმცა უფრო მთლიან ერთეულს და
მძლავრს სახელმწიფოს წარმოადგენს, მაგრამ ისიც იძუ-
ლებულია ანგარიში გაუწიოს მის ფარგლებში მომწვედე-
ულ პოლიტიკისა, რომელსაც არ გაჭკარვლებია ხსენს
საკუთარი საშეუთხი და არც განუქარწვლდება როდესმე.
ამის გარდა, საერთაშორისო მდგომარეობა იმდენად მწვა-
ვება, რომ გერმანიას იძულებული გახდა განსაკუთრებული
ზომები მიეღო, გაედიდებინა სამხედრო თანხა და
ისე გაეძლიერებინა ბიუჯეტი, რომ ახალი სულ უცნაური
გარდასახადი შეაწერა მსხვილ შემაბულებებს. ახალი სლავი-
ანური სახელმწიფოთა, მისი აზრით à priori იმ „სამ-
თა შეთანხმების“ პანაკში მოჭეკებთან, საფრანკეთსა, ინ-
გლისსა და რუსეთსა, რომელიც ავსტრი — იტალია გე-
რმანიის „სამთა კავშირს“ უპირისპირდება, რაც გავლენ-
ას იქონიებს ძლით განწყობილებასზედ გერმანიაში.

რუსეთი, რომელსაც აბონის ომმა და-
ახსავა შინაგანი მოწყობილობა და ერთ დროს თითქო
გონზვდაც მოიგვანა და განმათავისუფლებელი მანიფესტი
გამოაცემინა, რაც ხელს უწყობდა მის ეკონომიურ და
პოლიტიკურ გაძლიერებას—მალე დაუბრუნდა ისევე ძველს
ტრადიციებს და არამთუ სხვა ერთგუბათ, ინტროდუცებს,
ძირითად მოსახლეობაც სამიში მუხრუჭა მოუჭირა. უკვ-
ლა ეს გარემოება აუცილებლად ასუსტებს საერთაშორ-
ისო პოლიტიკაში ხმის მადლებას და დღეს, როცა

რუსეთს „ისტორიულ მისიასზედ“ ცნებაც შეეძლო, კ.ი.
სტამბოლზედ—იგი მძლავრ სიტუაციას ვერ წარმოადგენს და
მომხე სლავიანების ბედის გადაწყვეტაში ხმა-მადლა უფრო
ლაზარეობს.

ს ი ზ ლ ი მ ი თ ე მ ა

საზოგადოებრივი აზრი რუსეთისა, აჭრედე თვით
მთავრობის წრეული სიმზატეობა მოდად სლავიანთა
მხარეზეა, მაგრამ პოლიტიკური განწყობილება ერთის
მხრივ, პოლიტიკის და ფინანსდის რეევა, მეორეს
მხრივ, თვით მცხოვრებთა უკმაყოფილება, რომელიც
ერთ დროს თითქმის გარდაქმნას უჭადდა რუსეთის სა-
ხელმწიფოს,—ძლავს უკარგავს მთავრობას და თა-
ვის პირდაპირ მოვალეობასზედ ხელს ადებინებს.

უკვლავ ზემო ნათქვამიდან სხანს, რომ ძლიერი სა-
ხელმწიფო მარტო მაშინ არის უზრუნველყოფილი გა-
რემე შტრისაგან, როცა შინაგან საქმეებს იმ გვარად
აწარმოებს, რომ არა სასურველი ერთგულება თუ სოცია-
ლური შეხდა-შეკახებანი არ ანსებობენ, ან შემცირებულნი
არაან მინიმუმამდე. ამისთვის კი საჭიროა რაგონაც თა-
რთო დემოკრატიული მოწყობილება სახელმწიფო ცხოვ-
რებისა, რაც ხელს შეუწყობდა კულტურულს და ეკო-
ნომიურს აღორძინებას, ისე—მოსახლე ერთგუბათა და-
შეკარებას. ის დევნა, რომელსაც განიცდიან რუსეთში
მოსახლე უცხო ერები, ის რუსიფიკატორული პოლიტი-
კა, რომელიც უკრაინულ ენასაც კი სდევნის, რაგონაც
მავებელს ვერასოდეს ვერ შეჭქმნის იმ მთლიანობას,
რომელიც აუცილებელია უფული სახელმწიფოსათვის,
როდესაც მას გარემე შტურთან უხდება საქმის და-
ჭერა.

უკვლავზედ ადრე სიმატლუ იმ დებულებასა, რომ
გარემე სიძლიერე მხალად შინაგან სიძლიერეზედ არის
დამუარებული — შეიგნო ინგლისმა და პირველმა საბიჯებ-
მა ამ მხრივ, საუკეთესო საუფო გამოიტანეს. ერთგუ-
ბათა და პრავინციათა ავტონომიურმა მართვა-გამკეობამ
მოუზავეს ინგლისს უდიდესი სიმზატეობი და ის ელემე-
ნტები, რომელნიც აქამდის შინაგან შტურად ითვლებო-
დნენ და ასუსტებდნენ სახელმწიფოს თავისი უკმაყოფი-
ლებით ცალკე და ცალკე მათს მორჩილებასზედ დახარ-
ვული იყულოთ და ენერგიით — დღეს ინგლისის მხლავ-
ბული თანამშრომელნი არიან და თავისი ძლით მის ძა-
ლას აორკეცებენ. კანადა, ავსტრალია, ისლანდია, ირლან-
დია, ზოგი სამხედრო ფლოტით, ზოგი ჯარით, ზო-
გი ფინანსიურად უფუელათვის მზად არიან დახმარება გა-
უწიონ მეტროპოლიას და დღეს ინგლისის ხმა საერთა-
შორისო პოლიტიკაში უკვლავზედ ძლიერია.

ამ გვარად, თავი რომ მოუყაროთ უკვლავ ისტორი-
ულ-პოლიტიკურ მოვლენას უკანსკნელი დროისას, ცხადი

იქნება, რომ სახელმწიფო მით უფრო ძლიერია და ემტად მომზადებული გარეშე ზიარებუბთან საბრძოლველად. რაც ნაკლებია უთანხმოებანი მის ფარგლებში მოქცეულ ელემენტთა შორის. უკანასკნელს კი სპასს და ერთ ზოდად აკავშირებს სხვა და სხვა ნაწილებს; მარტოაღუნ განიფრული დაკმაყოფილება უვკლა ნაწილებას ინტერესებისა და არა მათი ძალად გარდაქმნა და გადაგვარება.

რ. ზ.

მეფე ედიზე ქართულ თეატრში

28 მარტს ქართულ თეატრში წარმოადგინეს მეფე ედიზე. მე არ შევეხები იმ საკითხს თუ რამდენად შეეგუება თანამედროვე თეატრს და გემოვნებას ძველი კლასიკური თეატრის აღდგენა მაშინდელი ფორმების მიბაძვით. რამდენადაც სოფოკლეს ტრაგედები მართლაც ღრმა და ნამდვილი ტრაგიზმით არიან სავსენი, რამდენადაც ძარტივია, ბუნებრივი ნასკვი და მსვლელობა ედიზეს უბედური თავგადასავალისა, დაწყებული დაბადების დღიდან, მამის მკვლელობისა და ცოლად დედის შერთვამდე, — იმდენადვე სუსტნი არიან ის გარეგანი ფორმები, რომლებშიაც აყალიბებს ამ შინაარსს ავტორიც და მის თხზულებათა გარდამკეთებელნიც. მაგ. მოხუცთა ხორეფტის ერთად ლაპარაკი და საზოგადოთ მათი როლი და სხ.

ასეთი ფორმების აღდგენას ისტორიული ხასიათი თუ შეიძლება მივაწეროთ, თორემ თეატრის ბუნებრივობას ის არასა ჰმატებს.

თავი და თავი, რასაკვირველია არის ინსცენირიოვკა და თამაში არტისტებისა, ამიტომ მინდა შეეჩერდე იმაზედ, თუ როგორ ზიდა ქართულმა დასმა დიდებული ტვირთი.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ საზოგადოთ ლექციის წაძლოლება წარმოდგენას უკარგავს სიმარტივეს და ძალად ხელოვნურ ელფერსა სდებს და იმისთანა ლექციის წაკითხვა კი, როგორიც იყო ბატონ მ. წულუკიძისა — ყოვლად შეუფერებელია. ყურს რომ უგდებდი, თავიდან არ გამომდიოდა ერთი ბავშვური გამოცანა: ერთი ხელსახოცი მქონდა, ვკეცე, ვკეცე ვერ დავკეცეო — ისე ბ. წულუკიძემ ლექა, ლექა ვერ დაღექა, რა უნდოდა...

თვითონ წარმოდგენა კარგად იყო მოწყობი-

ლი, ანსამბლი და მასიური სცენებიც რეჟისორს კეთილად მოეგვარებინა, მაგრამ მთელ წარმოდგენას მეტად ახალგაზრდური ხასიათი ჰქონდა. ქ. თების მცხოვრებნი მარტო ბავშვებისაგან შემდგარნი; კრეონი და იოკასტა უჭიბო-ტანგებდა და გოგონას გვაგონებდნენ, ვიდრე დარბაისელ სეფე და-ძმას.

ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონი ქიქოძე (იოკასტა) დიდ იმედებს იძლევა და თამამად ითქმის, რომ მეტად ნიჭიერი და შეგნებული არტისტი დადგება. გარდა გარეგანი სიმშვენიერისა: სახის ცვალებადი სილამაზისა და მოხდენილი, სხარტული აგებულობისა, რაც მეტად ხელს უწყობს გამოერჩეს შეხედულობით ჩვენს უკანასკნელი დროის დაგვალულ არტისტებს — ქ-ნს ქიქოძეს, მდიდარი მიმიკა და პლასტიური მიხვრა-მოხვრა ახასიათებს. მელოდიური ხმა, ჯერედ გაუმაგრებელი, მართალია, ხანდახან გაღუტყდება ხოლმე, მაგრამ ეს ნაკლი ადვილად შესავსებია დიქციაში ვარჯიშობით.

ჩვენ სწორედ გაგვაკვირვა, თუ როგორ შესძლო ამ ყმაწვილმა არტისტმა ისე ბუნებრივად და იმავე დროსვე ღრმად გადმოცემა იოკასტას უზომო ტანჯვისა, მისტიური შიშისა ბედის წერის აღსრულების წინაშე. როგორ განიცადა სრულად და განაცდევინა მაყურებელთაც ის რელიგიური ექსტაზი-ლოცვა, როცა ევედრება ღმერთებს ედიზეს ხსნასა. მისი საშინელი ტანჯვა, სინამდვილის გაგებისას, ისეთის სიძლიერით გამოიხატა მის სახეზედ, თვით მის პოზაში, როცა მოხრილი, დაპატარავებული, წამოსასხამ შეკრებილი მიეყუდა თეთრ სვეტსა, თითქო თვით ტანჯული ნიობეა გაქვავებული გაჰყურებს აპოლონისგან დახოცილ შეილებს.

შეუდარებელი იყო მაშინაც, როცა იგონებს ლაიოსის მკვლელობას და თრთის სინამდვილის აღდგენის წინაშე.

მაგრამ, რამდენადაც მეფური სიღარბაისლე და ტანჯვის განცდანი პირველ ხარისხოვან მსახიობთა რიგში აყენებდა ქ-ნს ქიქოძეს, იმდენად ხელს უშლიდა ამას მისი ნამეტანი ყმაწვილური სიმკვირხლე და ცქვიტი მიხვრა-მოხვრა იმ წუთებში, როცა სულს იბრუნებდა ვაებისაგან და იმედი ეძლეოდა, რომ განგება — მოირა ისევე სცდება, როგორც ადამიანნი. იოკასტას, დედას ედიზესი და მისივე ოთხი შვილისა, არ შეშვენის 20 წლის ქალისავით მხიარული ტრიალი და ხელთ-მოძრაობა.

საზოგადოთ კი ჩვენის აზრით დიდი მომავალი

აქვს ახლოგარდა მსახიობ ქალსა, რადგან ჩამოთვლილი ნაკლები სულ ადვილი ასაცილებელია.

გუნიაშ, ჩვეულებრივად, როლი არ იცოდა, თუმცა მეორე ნახევარი თამაშისა, როდესაც ედიბე უკვე თვალ-გამოთხრილია და ბედმა დასაჯა—ბუნებრივად შეასრულა. კრეონი—მგალობლიშვილი მეტად კარგი იქნებოდა, რომ მეტად ყმაწვილი არა ყოფილიყო.

ტირეზი—შანშიაშვილი ვერ შეედრებოდა ტირეზის—შალიკაშვილს, თუმცა მასაც არა უჭირდარა.

დასასრულ, მწიკვინა ქალებიც როგორც ყველაფერი იმ დღეს, მეტად ყმაწვილნი იყვნენ და არც ერთს არც დარბაისლური შიში, არც დარბაისლური ტანჯვა არ ეტყობოდათ; თ. გოგოლაშვილსაც კი, რომელიც რიტორიკამ გაიტაცა.

რადე.

ნ ა რ ე ვ ი

უცნაური ქორწინება

ერთ ამერიკელ მილიონერს მოსწონებია მდიდარი ფერმერის ლამაზი ქალი და არშიყობა დაუწყვია. ბევრი დღენის შემდეგ, ქალი დაუყოლებია და მეუღლეობაზედ დაუთანხმებია, მაგრამ ნახეთ მისი განცვიფრება, როდესაც დანიშნული ქორწინების წინა დღეს—ქალს აღხირებია: უნდა გამოგკადოვო და მარტო მაშინ გამოგყვები ცოლად თუ ჩემთან ერთად ნიაგარას ჩანჩქერს გაივლი ორთქლმავალ ნავითაო. შეყვარებული მილიონერი დათანხმებულა, მაგრამ ასეთი არა ჩვეულებრივი სერიზობისაგან ენა, მარჯვენა ხელი და მარცხენა თვალის ქუთუთო წართმევია და შიშისაგან ავად გამხდარა. აღფრთოვანებულ ქალს უთქვამს: ეხლა კი მჯერა შენი სიყვარულისა და შეჰფიცა სიკვდილამდის შენი ერთგული ვიქნებიო. ამ საშინელი ფიცის შესრულება იმით გაადვილებია, რომ ორი დღის შემდეგ უშიშარი მილიონერი გარდაცვლილა.

ჩ კ ე ნ ი ფ ო ს ტ ა



არაკოს

„...ლექთა წერა მეხერხება პროზა?—რა მოგახსენოთ ქართველი გლეხის ხარები სულ უნდა გავაცხენოთ“ (?)

გაკვივია, ხანდისხან კაცი გა...ბრიყუდება და ლექსებსა სწერს, მაგრამ ხარი რომ გაცხენდებოდეს, ეს როგორღაც უხერხულად მიგვანია...

ენციკლოპედს. „...ვიცო, ბევრი რამ ვიცი, მეტად ბევრი რამ, მაგრამ არ ვიცი... როგორ გადმოგვცუა, ვაი თუ არ გამოგადგუთ...“

ნუ გრცხვენიათ, მართალია, სამთარი გავიდა, მაგრამ ხანდახან ლუქებს ეხლაც ვანოეთ სოღმე წვიმიან დღეში.

„საკუთარ“ კორენსპონდენტს. ამდენ ხანს იწერებოთ: „საკუთარ კორენსპონდენტისგანაო“ და კი არ ვიცით ვინ გვესაკუთრება ასე ახირებულად. მაგისტანა კორუბონდენტებს საკუთარ რედაქციაში თუ დაგიბეჭდავენ.

ჭრიაშვილს „სანთელივით ედნება, ვქრები მიხდა თქვენთან გადმოფურირდე თქვენთან ფრენით ვიმთქმელო...“

ჯერ ერთი, სანთელი რომ დნება, არა ქრება, რომ ქრება—აღარ დნება და, ესეც არ იუყეს, სანთლისა აღრესი შეკმლიათ; ქებურიშვილს ხომ არ ექება?

რედაქტორ-გამომცემელი


რ. გაბაშვილი.

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

კოოპერატიული ღვინო




საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, ბათუმში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“- დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866¹/₂ ღმებინა ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

ქალა მართოვანია!

კახელებო! ჩვენ წვერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უპანახველ დროს საზოგადოების საქმიანი მოწვევით და მამოძრავებელია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.